

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

შპს მირამარ რეზიდენსი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

- სრული შემოსავლის ანგარიშგება
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს მირამარ რეზიდენსი
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	4	3 075 901	2 278 474
სხვა შემოსავლები		11 603	574
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		26 419	26 419
მარაგის შეძენა		(137 481)	(137 481)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(366 260)	(394 068)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(6 139)	(5 497)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	5	(1 852 901)	(1 372 397)
საგადასახადო ხარჯი		(198)	(208)
სხვა ხარჯი	6	(453)	(2 282)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		750 491	393 535
საკუროსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		1 739	(2 217)
ფინანსური ხარჯი		-	-
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		752 231	391 318
მოგების გადასახადი		(64)	(464)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		752 166	390 854

დირექტორი

ბუღალტერი

შპს მირამარ რეზიდენსი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	18 049	21 519
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივი		18 049	21 519
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	8	42 358	37 365
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	9	1 833 160	397 179
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		20 168	24 752
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	10	80 222	377 928
სულ მიმდინარე აქტივები		1 975 907	837 224
სულ აქტივები		1 993 957	858 744
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		138 990	20
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		1 519 236	767 069
სულ საკუთარი კაპიტალი		1 658 226	767 089
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	67 916	52 808
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		267 815	38 847
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		335 731	91 655
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 993 957	858 744

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს მირამარ რეზიდენსი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2022 წაშთი	20	376 215	376 235
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	390 854	390 854
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2023 წაშთი	20	767 070	767 090
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	138 970	-	138 970
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	752 166	752 166
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2024 წაშთი	138 990	1 519 236	1 658 226

დირექტორი

ბუღალტერი

შპს მირამარ რეზიდენსი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	3 180 473	2 576 524
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(3 196 370)	(2 245 956)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(282 928)	(304 995)
<u>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</u>	<u>(298 824)</u>	<u>25 573</u>
<u>გადახდილი გადასახდები</u>	<u>(140 997)</u>	<u>(251 774)</u>
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	(439 821)	(226 201)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(439 821)	(226 201)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	-	-
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	138 970	-
<u>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>138 970</u>	<u>-</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	-	(45 000)
სესხის დაფარვა	-	-
პროცენტის მიღება	3 840	351
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	13 498	51 971
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(14 193)	(55 514)
<u>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>3 145</u>	<u>(48 191)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა	(297 706)	(274 392)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	377 928	652 320
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	80 222	377 928

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მირამარ რეზიდენს“ ფუნქციონირებს 2022 წლის 31 მაისიდან ქალაქ

ბათუმში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლებია ;

რუსლან ბეკოვ - 75 3541064 - 49%

ნუგზარ ბერიშვილი - 01024026076 - 51%

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, შოთა რუსთაველის ქუჩა N 40

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ბათუმი შოთა რუსთაველის ქუჩა N 40

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	- 5 %
✓ მანქანა-დანადგარები	- 10-15%
✓ საოფისე აღჭურვილობა	- 20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	- 20-30%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	- 10-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.6. აქტივების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახულ მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოიშვა, გაუფასურები ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ადგენს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისათვის და განცალკევებით ან ერთობლივად ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი.

თუ საწარმო დაადგენს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისთვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა იგი, საწარმო ამ აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსურ აქტივთა ჯგუფს და ერთად ამოწმებს მათ გაუფასურებას. პორტფელის გაუფასურების ობიექტურ ნიშანი შეიძლება იყოს წარსულის მონაცემები დაფარვასთან დაკავშირებით, დაფარვის საშუალო ვადის გადაცილება, რომელიც საწარმოს მიერაა დადგენილი, ასევე საგრძნობი ცვლილება ეკონომიკაში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოთხოვნების დაფარვაზე. მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის განსაზღვრა. მოთხოვნების გაუფასურების ზარალის თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.7. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული

მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

	დასახელება	2024 წელი	2023 წელი
1	შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3 075 901	2 278 474
2	სხვა შემოსავალი	11 603	574
	ჯამი:	3 087 504	2 279 048

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

	დასახელება	2024 წელი	2023 წელი
1	სატრანსპორტო მომსახურება	1 668	3 154
2	საიჯარო მომსახურება	1 037 387	689 926
3	კომუნალური მომსახურება	34 798	219 203
4	კომუნიკაციის ხარჯი	9 105	11 148
5	სხვა შეძენილი მომსახურების ხარჯი	224 776	215 651
6	რეკლამის ხარჯი	545 168	233 315
	ჯამი:	1 852 901	1 372 397

6. სხვა ხარჯები

	დასახელება	2024 წელი	2023 წელი
1	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	453	2 282
	ჯამი:	453	2 282

7. ძირითადი საშუალებები

	შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2023
1	ოფისის აღჭურვილობა	4 480	1 505		2 975
2	ავჯი და სხვა ინვენტარი	26 761	1 164		25 597
	ჯამი:	31 241	2 669	-	28 571

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2024	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2023
1	ოფისის აღჭურვილობა	1 413	765		648
2	ავჯი და სხვა ინვენტარი	11 778	5 374		6 404
	ჯამი:	13 191	6 139	-	7 052
	საბალანსო ღირებულება	18 049	18 049	-	21 519

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. მარაგი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	შემენილი მარაგი	4 992	24 224
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	37 366	13 142
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	42 358	37 366

9. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	სავაჭრო მოთხოვნები	77 550	143 637
2	გადახდილი ავანსები	1 755 610	253 543
	ჯამი:	1 833 160	397 180

10. ფულადი სახსრები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	73 854	54 514
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	3 847	321 353
3	ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა	2 520	2 061
	ჯამი:	80 222	377 928

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	სავაჭრო ვალდებულებები	67 916	52 808
	ჯამი:	67 916	52 808

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 02 სექტემბერი.

დირექტორი:

ტიმურ ცუროვ

მთ. ბუღალტერი:

ნანა ხაბაძე

შპს მირამარ რეზიდენსი
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	4	3 075 901	2 278 474
სხვა შემოსავლები		11 603	574
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		26 419	26 419
მარაგის შეძენა		(137 481)	(137 481)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(366 260)	(394 068)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(6 139)	(5 497)
შემენილი მომსახურების ხარჯი	5	(1 852 901)	(1 372 397)
საგადასახადო ხარჯი		(198)	(208)
სხვა ხარჯი	6	(453)	(2 282)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		750 491	393 535
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		1 739	(2 217)
ფინანსური ხარჯი		-	-
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		752 231	391 318
მოგების გადასახადი		(64)	(464)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		752 166	390 854

დირექტორი

ბუღალტერი



შპს შირამარ რეზიდენსი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	18 049	21 519
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივი		18 049	21 519
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	8	42 358	37 365
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	9	1 833 160	397 179
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		20 168	24 752
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	10	80 222	377 928
სულ მიმდინარე აქტივები		1 975 907	837 224
სულ აქტივები		1 993 957	858 744
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		138 990	20
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		1 519 236	767 069
სულ საკუთარი კაპიტალი		1 658 226	767 089
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	67 916	52 808
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		267 815	38 847
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		335 731	91 655
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 993 957	858 744

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



შპს მირამარ რეზიდენსი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2022 ნაშთი	20	376 215	376 235
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	390 854	390 854
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2023 ნაშთი	20	767 070	767 090
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	138 970	-	138 970
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	752 166	752 166
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2024 ნაშთი	138 990	1 519 236	1 658 226

დირექტორი

ბუღალტერი



შპს მირამარ რეზიდენსი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	3 180 473	2 576 524
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(3 196 370)	(2 245 956)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(282 928)	(304 995)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	(298 824)	25 573
გადახდილი გადასახდები	(140 997)	(251 774)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	(439 821)	(226 201)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(439 821)	(226 201)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	-	-
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	138 970	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	138 970	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	-	(45 000)
სესხის დაფარვა	-	-
პროცენტის მიღება	3 840	351
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	13 498	51 971
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(14 193)	(55 514)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	3 145	(48 191)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა	(297 706)	(274 392)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	377 928	652 320
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	80 222	377 928

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



10. ფულადი სახსრები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	73 854	54 514
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	3 847	321 353
3	ნაღდი ფული საღაროში - ეროვნული ვალუტა	2 520	2 061
	ჯამი:	80 222	377 928

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	სავაჭრო ვალდებულებები	67 916	52 808
	ჯამი:	67 916	52 808

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 02 სექტემბერი.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ტიმურ ცუროვ

ნანა ხაბაძე